ლგბტქ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა

პოლიტიკის დოკუმენტი

2023

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მიერ, ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

ავტორი: ანა აბაშიძე
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

სარჩევი

შესავალი 4

საქართველოს კონტექსტი 5

ძირითადი ბარიერები 6

LGBTQI+ ადამიანების მიმართ განწყობები 6

უფლებრივი მდგომარეობა 7

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 8

შეკრების და გამოხატვის თავისუფლება 9

ინტერნალიზებული ფობიები პროფესიონალებში 9

კანონმდებლობა 10

კერძო ბიზნესი 10

ადვოკატები 11

შეჯამება 12

რეკომენდაციები 12

შესავალი

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით... და ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს“.[1] ყველა ადამიანს, LGBTQI+ პირთა ჩათვლით, უფლება აქვს, ისარგებლოს დაცვის უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების საფუძველზე.[2]

მსოფლიოს მრავალ კუთხეში ადამიანები განიცდიან უფლებათა სერიოზულ დარღვევებსა და დევნას მათი ფაქტობრივი ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციისა და/ან გენდერული იდენტობის გამო. ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსსექსუალების და ინტერსექსუალების (შემდგომში, „LGBTQI+“)[3], ასევე, ასეთებად მიჩნეულ პირთა დევნა ახალი მოვლენა არ არის.

მრავალი დოკუმენტური მტკიცებულება ადასტურებს, რომ მსოფლიოს ყველა რეგიონში LGBTQI+ პირები ხდებიან მკვლელობის, სექსუალური და გენდერული ძალადობის, ფიზიკური თავდასხმების, წამების, თვითნებური დაპატიმრების, ამორალურ ან საზოგადოებრივი ნორმებისთვის შეუფერებელ ქმედებაში დადანაშაულების სამიზნე. ასევე, მათ მიმართ ხდება დისკრიმინაცია დასაქმების, ჯანდაცვის და განათლების და სხვა სფეროებში.[4]

ქვეყნებში მოქმედებს კანონები, რომლებიც LGBTQI+ ადამიანებს სისხლისსამართლებრივადაც კი სჯის მათი იდენტობის გამო. ამასთან, სასჯელის ზომად

---

[1] გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი.

[2] OHCHR, მოხსენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, პარ. 5.

[3] ამ პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისთვის „გენდერული იდენტობა“ ასევე მოიცავს „ინტერსექსს“.

[4] იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი დისკრიმინაციული კანონებისა და პრაქტიკის და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობრივი აქტების სფეროში, 2011 წლის 17 ნოემბერი (შემდგომში, OHCHR, მოხსენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.unhcr.org/refworld/docid/4ef092022.html. იურისპრუდენციისა და დოქტრინის შესახებ აგრეთვე იხ. მართლმსაჯულების საერთაშორისო კომისია (შემდგომში “ICJ”), სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის უფლებათა სამართალში; მითითებები გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემის იურისპრუდენციასა და დოქტრინაზე, 2010, მეოთხე განახლებული გამოცემა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.unhcr.org/refworld/docid/4c627bd82.html; ICJ, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის უფლებათა სამართალში, იურისპრუდენციის, საკანონმდებლო და დოქტრინული მახასიათებლები ევროპის საბჭოდან და ევროპის კავშირიდან, 2007 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.unhcr.org/refworld/docid/4a54bbb5d.html; ICJ, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის უფლებათა სამართალში: ინტერ-ამერიკული სისტემის მახასიათებლები და დოქტრინა, 2007 წლის ივლისი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.unhcr.org/refworld/docid/4ad5b83a2.html

გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა, ფიზიკური დასჯა და/ან სიკვდილით დასჯა.[5] ასეთ და სხვა ქვეყნებში შესაძლოა ხელისუფლებას არ სურს ან არ ძალუძს დაიცვას ადამიანები მესამე პირებისგან განხროციელებული სასტიკი მოპყრობისაგან, რაც იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას და ფარულ – ზოგჯერ კი აშკარა შემგუებლობას ამგვარი სასტიკი მოპყრობისა და დევნის მიმართ.

ძალადობისა და დისკრიმინაციის ხელშემწყობი და დამამძიმებელი ფაქტორები შეიძლება იყოს სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, ეთნიკური/რასობრივი კუთვნილება, სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობა და აივ-სტატუსი. ასეთი მრავალშრიანი დისკრიმინაციის გამო ხშირად ხდება LGBTQI+ პირების საზოგადოებისაგან გარიყვა და თავიანთი თემებისა და ოჯახებისაგან იზოლირება. ზოგიერთ ადამიანს უჩნდება სირცხვილის და/ან შინაგანი ჰომოფობიის გრძნობა. ამ და სხვა ფაქტორებმა მათ შეიძლება ხელი შეუშალოს, აცნობონ გადაწყვეტილების მიმღებ პირს, რომ დევნის მიმართ მათი შიში რეალურად დაკავშირებულია მათ სექსუალურ ორიენტაციასთან და/ან გენდერულ იდენტობასთან. [6]

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, მიმოიხილოს საქართველოში LGBTQI+ ადამიანების წინაშე არსებული პრობლემები და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ეხმიანება პრაქტიკულ გამოწვევებს და სახელმწიფოს სთავაზობს მიმართულებებს ეფექტური და თანასწორი მართლმსაჯულებისთვის.

საქართველოს კონტექსტი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2014 წელს მიღებული საქართველოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი დისკრიმინაციას კრძალავს, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე. თუმცა, კანონში არსებული სუსტი დანაწესების გამო, მან ვერ უზრუნველყო დაცვის მაღალი სტანდარტი და სამართლებრივი შედეგის მიღწევა დისკრიმინაციის მსხვერპლებისათვის. 2019 და 2020 წლებში ცვლილებები განხორციელდა შრომის კანონმდებლობაში, ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის რეგულაციებში.

---

[5] იხ. გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ინტერსექსუალების საერთაშორისო ასოციაცია, „სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობილი ჰომოფობია, ზრდასრულთა შორის თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ერთსქესიანი ურთიერთობების აკრძალვის კანონების მიმოხილვა მსოფლიო მასშტაბით“, 2012 წლის მაისი, ხელმისაწვდომის ვებგვერდზე: http://old.ilga.org/Statehomophobia/ILGA_State_Sponsored_Homophobia_2012.pdf

[6] სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 9: განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში, გვ. 4

მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, თანასწორობის პოლიტიკის აღსრულება და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელება კვლავ პრობლემურია. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას LGBTQI+ ჯგუფის მიმართ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში და რომლის მიმართაც არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია უთანასწორო მოპყრობის მრავლობით ფორმებში გამოიხატება. აღნიშნულის საპასუხოდ სახელმწიფო პოლიტიკა გაუარესებულია. ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 ეროვნული სტრატეგია, სადაც ადამიანის უფლებების ძირითადი გამოწვევებია მოცემული, სრულიად აიგნორებს LGBTQI+ ჯგუფის საჭიროებებს. აგრეთვე ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის პროექტიც დუმს აღნიშნულ თემებზე. მაშინ როცა 2014-2020 წლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მიმართულებით არსებული გამოწვევები და სახელმწიფო საპასუხო პოლიტიკა მნიშვნელოვნად იყო ხაზგასმული.

ძირითადი ბარიერები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი გაიზარდა და მათი ანალიზი ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს წარმოაჩენს.

LGBTQI+ ადამიანების მიმართ განწყობები

ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში კვლავ ნარჩუნდება ჰომოფობიური დამოკიდებულებები.[7] UNDP და UNFPA-ს მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულ კაცთა 83%-ს შერცხვებოდა ჰომოსექსუალი შვილის ყოლა, ქალების შემთხვევაში ამ დებულებას ქალთა 74% იზიარებს. დებულებას, რომ ჰომოსექსუალ ქალებს/კაცებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, იზიარებს კაცების 83% და ქალთა 64%, გამოკითხულ კაცთა 81% აღნიშნავს, რომ არ ეყოლებოდა ჰომოსექსუალი მეგობარი, როდესაც ამავე დებულებას ქალთა მხოლოდ 54% იზიარებს.[8] CRRC-ის კვლევის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, რესპონდენტებისთვის დასმულ კითხვაზე, თუ ვის არ ისურვებდნენ მათ მეზობლად კრიმინალებისა (27) და ნარკომანების (25) შემდგომ, ჰომოსექსუალები მესამე ადგილს იკავებენ, რაც გამოკითხულთა 24%-ს შეადგენს.[9]

ევროსაბჭოს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისთვის უმცირესობების უფლებების დაცვა, ლგბტ ჯგუფის შესახებ დადებითი პასუხი ყველაზე ნაკლებ

[7] UNDP და UNFPA. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება.
[8] იქვე.
[9] CRRC. (2020). ცვლილებათა ათწლეული: მოსაზრებები და ღირებულებები საქართველოში, (2009-2019). Tbilisi: CRRC- საქართველო, Caucasus Barometer.

პროცენტულ მაჩვენებელში გამოიხატა (33%), 42% კი აღნიშნავს, რომ ლგბტ პირთა უფლებების დაცვა არ არის მნიშვნელოვანი.[10]

კვლევები მიუთითებს, რომ LGBTQI+ ადამიანთა მიმართ კვლავ არსებობს ნეგატიური წინასწარგანწყობები, რაც ხშირად გამოიხატება დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში, რომელიც LGBTQI+ ადამიანებს მუდმივი საფრთხის წინაშე ამყოფებს და შედეგობრივად, მათ სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობასაც განაპირობებს.[11]

სახალხო დამცველის შეფასების თანახმად, უფლებრივი გაუმჯობესება არ შეინიშნება. LGBTQI+ ადამიანებისთვის, 2022 წელსაც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებებთან გამკლავება, მათ შორის, პოლიტიკოსების მხრიდან ამგვარი რიტორიკის წახალისების ფონზე.[12]

უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში, LGBTQI+ ადამიანების მიმართ არაერთი მძიმე სოციალური და სამართლებრივი გამოწვევაა, რაც სხვადასხვა დანაშაულსა და ფუნდამენტური უფლებების დარღვევაში ვლინდება, ხოლო ამ გამოწვევებზე სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხი სუსტი და უშედეგოა.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებებია კანონმდებლობასა და აღსრულების პოლიტიკაში, სიტუაცია არსებითად არ იცვლება წლების მანძილზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დანაშაულების გამოძიების და სამართალდამცავებთან კომუნიკაციის დროს.

განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს ბავშვები და ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომელთათვისაც უსაფრთხო ოჯახური თუ სასწავლო გარემო საბაზისო საჭიროებაა. ქვეყანაში არსებული ვითარება არათუ ეხმარება ახალგაზრდას თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და აღიარებულად, არამედ განაპირობებს მის აკადემიურ, ფიზიკურ და ემოციურ განვითარებას და მიღწევებს.

[10] CoE, C. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა. თბილისი: ევროპის საბჭო.

[11] ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, რაოდენობრივი კვლევის შედეგები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020

[12] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 191

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

LGBTQI+ ადამიანები ყოველდღიურად ეჯახებიან სიძულვილის ენას, რაც ფსიქოლოგიურ ტრავმას და დაუცველობის განცდას იწვევს. გაცილებით მძიმეა რეალობა სიძულვილით ნაკარნახევი დანაშაულების გამო.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი გაიზარდა და მათი ანალიზი ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს წარმოაჩენს.[13]

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „ლგბტი ადამიანები საქართველოში არიან სისტემური ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ხშირად ვლინდება ოჯახში, საჯარო სივრცესა თუ სხვადასხვა ინსტიტუციაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციის, ბულინგისა და სოციალური გარიყვის სახით."[14] სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლები ხშირად ხდებიან ლგბტ+ ადამიანები.[15]

საქართველოში LGBTQI+ ადამიანების ცხოვრებას განსაკუთრებით გაუსაძლისს ხდის პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ჰომოფობიური და სიძულვილის ენა საჯარო გამოსვლებში, რაც ხელს უწყობს ფობიების შენარჩუნებას და მის საფუძველზე დანაშაულების ჩადენისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.[16]

სიძულვილის ენის საწინააღმდეგოდ ყველაზე ეფექტური ღონისძიება სახელმწიფო მოხელეების და მოსამსახურეების, განსაკუთრებით, საგამოძიებო და სასამართლო სისტემის წარმომადგენლების ინფორმირებაა. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ სიძულვილის ენის რეგულაცია პროფესიული რეგულირების საკითხი გახდეს, კერძოდ, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან გამოვლენილი ჰომოფობია პროფესიული ქცევის სტანდარტის დარღვევად იქნეს მიჩნეული. განათლება და პროფესიული წესების ცვლილება ფუნდამენტურად შეცვლის მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი პირების რწმენა-წარმოდგენებს, რაც პირველადი და აუცილებელი ეტაპია.

---

[13] ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2018

[14] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2016 წელი

[15] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022 წელი

[16] კანდიდატის სტატუსმეტრის დოკუმენტი #6, რეკომენდაცია 8., პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2023 https://osgf.ge/wp-content/uploads/2023/09/სტატუსმეტრი-6.0-GEO.pdf (ბოლო ნახვა, 29.09.2023)

შეკრების და გამოხატვის თავისუფლება

2023 წელს, 2022 წლისგან განსხვავებით, საქართველოში „პრაიდის კვირეული“ ჩაიშალა. LGBTQI+ ადამიანების მიერ გამოხატვის და შეკრების თავისუფლებებით სარგებლობა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან პოლიციამ არ დაიცვა კვირეულის მონაწილეები მოძალადე და პრორუსული ჯგუფების მხრიდან დანაშაულებრივი მუქარებისგან. პოლიციამ მათ დანაშაულების ჩადენის საშუალება მისცა, მაგალითად, სხვის საკუთრებაში უკანონო შეჭრა, სხვისი ნივთების უნებართვო მისაკუთრება და სხვა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 2023 წლის პრაიდის კვირეულის ხელშეშლა იმ დანაშაულებრივი ჯგუფების და ინდივიდების მიერ, რომლებმაც 2021 წლის 5-6 ივლისს ჩაიდინეს ძალადობრივი დანაშაულები საჯაროდ, ხოლო სამართალდამცავებმა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების გამო არავინ დასაჯეს.[17]

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა წლიდან წლამდე რთულდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქართველოს არაერთ საქმეზე უთითებს გამოხატვის თავისუფლების სისტემურ დარღვევაზე და აძლევს რეკომენდაციებს, მათი პრაქტიკაში აღსრულება ჯერ კიდევ არ ხდება. უფრო მეტიც, LGBTQI+ თემა ხშირად, წინასაარჩევნოდ, „მომგებიან“საკითხად არის მიჩნეული. მისი მიზანია LGBTQI+ ადამიანების მიმართ საზოგადოებაში არსებული შიშები და სტერეოტიპები გააქტიუროს პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების/მოპოვების მიზნით.

ინტერნალიზებული ფობიები პროფესიონალებში

როდესაც საუბარია LGBTQI+ ადამიანების მართლმსაჯულების უფლების ნაკლოვანებებზე, აუცილებელია სწორედ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების უშუალო დამოკიდებულებების კვლევა. ასეთ ორგანოებს წარმოადგენს სამართალდამცავები პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, იურიდიული დახმარების სამსახურები, ადვოკატები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დაწესებულებებსა და პროფესიებში სტერეოტიპების, წინასწარგანწყობებისა და ჰომო/ბი/ტრანსფობიების თვითიდენტიფიცირების პროცესის დაწყება იმისათვის, რომ არსებობდეს პრობლემის ამსახველი ცხადი და არაორაზროვანი სურათი, რასაც დაეყრდნობა რეფორმები ამ დაწესებულებაში. იმის გამო, რომ ამგვარი კვლევები არ მოიპოვება, ხშირად შეფასებები არაზუსტია, ხოლო ღონისძიებები – არარელევანტური. ან რესურსებო, რომელიც

[17] ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით წინადადებით მიმართა. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Qb6VoN >

მიემართება სისტემის გაძლიერებას, ვერ ხვდება იქ, სადაც ამგვარი რესურსები სასიცოცხლოდ აუცილებელია. საბოლოოდ კი სურათი არ იცვლება.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ მართლმსაჯულებასთან შეხების დროს პირველი პრობლემა, რასაც LGBTQI+ ადამიანები აწყდებიან, არის სამართალდამცავი პირების მხრიდან მიკერძოებული და ჰომოფობიური დამოკიდებულება, მათი უფლებების და მდგომარეობის იგნორირება, რომელიც ხშირად წამყვანი ბარიერია LGBTQI+ მოქალაქეებისთვის საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში.

პოლიტიკის ცვლილების მთავარი წინაპირობაა LGBTQI+ ადამიანების ხილვადობის გაზრდა საზოგადოებაში, ამ მიზნით პოზიტიური კამპანიების წარმოება, განსაკუთრებით, სახელმწიფო უწყებების მხრიდან. აუცილებელია პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება, რაც მათი გაუცნობიერებელი შიშების შემცირებას შეუწყობს ხელს, რომლებიც, როგორც წესი, არასწორ ინფორმაციას ეყრდნობა.

კანონმდებლობა

2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის მარკერის შეცვლის მიზნით სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვისკენ მოუწოდა, რომლითაც დაუბრკოლებლად ისარგებლებდნენ ტრანსგენდერი ადამიანები.[18] აუცილებელია დროულად მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება, პირველ რიგში იმისათვის, რომ ადამიანს შეეძლოს უსაფრთხოდ იცხოვროს, იყოს პატივცემული და მისი იდენტობა აღიარებული იყოს სამართლებრივ დოკუმენტებში. ასევე ადამიანებს უსაფრთხო წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა სერვისზე. აგრეთვე, უფლებათა ევროპულმა სასამართლო მინისტრთა კომიტეტმა საქმეთა ჯგუფზე *„იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*[19] აღსრულების ზედამხედველობის პროცესში საქართველოსთვის გასცა რეკომენდაციები, რომელიც უნდა შესრულდეს.

მნიშვნელოვანია ყველა ამ გადაწყვეტილების სრული სიზუსტით აღსრულება და ამ პროცესში LGBTQI+ თემის წარმომადგენლების ჩართვა.

კერძო ბიზნესი

მნიშვნელოვანია, კერძო ბიზნესის მხარდაჭერა ჰომოფობიის დაძლევაში. გაეროს აღიარებული პრინციპები ბიზნეს ორგანიზაციებს მოუწოდებს, პატივი სცენ ადამიანის

[18] *A.D. and Others v. Georgia*, No. *57864/17,79087/17და 55353/19*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/0mov1f > [ბოლოს ნანახია: 29.09.2023].
[19] საჩივარი №73235/12, 2015

უფლებებს და გაითვალისწინონ მათ საქმიანობაში. ამით ისინი ხელს შეუწყობენ მრავალფეროვანი და მშვიდობიანი საზოგადოების არსებობას, რაც ყველას პასუხისმგებლობაა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესის ჩართვა თანასწორობის კამპანიებში, თანასწორობის პოლიტიკის დანერგვა დასაქმების ადგილებში, რათა LGBTQI+ დასაქმებულები არ გახდნენ ძალადობის, შევიწროების და დისკრიმინაციის სამიზნეები, არ მოხდეს მათი გარიყვა სოციალური გარემოდან.[20]

კერძო ბიზნესის აქტიური საქმიანობა LGBTQI+ პირთა უფლებებისთვის და ზოგადად თანასწორობის პოლიტიკის პოპულარიზაციისთვის მხარდაჭერილი უნდა იყოს სახელმწიფოსგან.

ადვოკატები

სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ყველა ადამიანი თანაბრად იყოს დაცული და ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან, დროულ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებაზე. მართლმსაჯულების ნაწილია ადვოკატი და მისაწვდომობა ადვოკატზე.

სტერეოტიპები და ჰომოფობიური წინასწარგანწყობები ადვოკატებს შორის მძლავრად არსებობს. რაც მნიშვნელოვნად ართულებს მართლმსაჯულების პროცესს და რეტრავმატიზაციის წყაროა LGBTQI+ ადამიანებისთვის. ადვოკატები ხშირად იდენტობის საკითხებს იყენებენ LGBTQI+ ადამიანების საწინააღმდეგოდ სასამართლო პროცესებში, ამ საფუძველზე ავიწროებენ და ღირსებას ულახავენ LGBTQI+ ადამიანებს. ხოლო ამის აკრძალვის ცხადი წესი არ არსებობს კანონმდებლობაში, არ გვაქვს მტკიცებულებათა რეგულაციები და შესაბამისად, ხშირად პროცესი LGBTQI+ ადამიანების მორალურ სამსჯავროდ არის წარმოჩენილი.

საქართველოში ადვოკატის პროფესია რეგულირდება ეთიკური წესებით[21], რომლის დაცვაც სავალდებულოა და მისი დარღვევის შემთხვევაში ადვოკატს შეიძლება დროებით ან მუდმივად აეკრძალოს საადვოკატო საქმიანობა. ეთიკის წესები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ გარკვეულ პროფესიებში ქცევის ცვლილება გამოიწვიოს. შესაბამისად, თანასწორობის პოლიტიკის ინტეგრირება მართლმსაჯულების სისტემაში მიანიშნებს ადვოკატების პროფესიული მომზადების და ეთიკური ღირებულებების გადახედვის საჭიროებაზე.

[20] Tackle discrimination against Lesbian, Gay, Bi, Trans, and intersex people, Standard of Conduct for Business, 2017 https://www.unfe.org/wp-content/uploads/2017/09/UN-Standards-of-Conduct.pdf

[21] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს.

შეჯამება

მართლმსაჯულების მისაწვდომობას ყველა ჯგუფისთვის ერთი და იგივე პრინციპები აქვს, თუმცა პოლიტიკაზე მომუშავე ადამიანებისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია იცნობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს და მათ პრობლემებს დეტალურად. სწორედ ამ საჭიროებების მიხედვით უნდა განისაზღვროს მართლმსაჯულების უფლების გამოყენების გარანტიები, სახელმწიფოს ვალდებულების მასშტაბი და ა.შ.

LGBTQI+ ადამიანებისთვის მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. რადგან მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყოველდღიური რისკის წინაშეა ჰომო/ბი/ტრასნფობიურ საზოგადოებაში. შესაბამისად, მათ ხშირად აქვთ შეხება სისტემასთან და საჭიროა სისტემა ორიენტირებული იყოს მათ უნიკალურ საჭიროებებზე, ზრუნავდეს ადამიანებზე.

ზემოაღნიშნული საკითხები ეხება და ქმნის მართლმსაჯულების შინაარსს ზოგადად, თუმცა დოკუმენტში მოცემული თემები უშუალოდ საქართველოში მცხოვრები LGBTQI+ ადამიანების წუხილებს გამოხატავს.

შესაბამისად, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები პირდაპირ მიემართება დღევანდელი სისტემის რეფორმის აუცილებლობას იმ მიზნით, რომ ყველა ადამიანი, მათ შორის LGBTQI+ მოქალაქეები თავს ღირსეულად, დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობდნენ. უფლების დარღვევის შემთხვევაში კი სისტემამ ეფექტურად იმოქმედოს მათ დასაცავად.

რეკომენდაციები

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა უნდა მოიცავდეს ინკლუზიური მართლმსაჯულების კონცეფციას, სადაც დიდი წილი LGBTQI+ ადამიანების ფუნდამენტური უფლებების საკითხს უნდა დაეთმოს. პოლიტიკის თუ საკანონმდებლო ცვლილება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამები უნდა დაეფუძნოს 3 ძირითად პრინციპს LGBTQI+ ადამინებისთვის: 1. უსაფრთხოება 2. აღიარება 3. პატივისცემა.

ამ პრინციპების გათვალისწინებით აუცილებელია:

- შეიქმნას ყველა სახელმწიფო უწყებისთვის ქცევის სავალდებულო წესები LGBTQI+ ადამიანების მიმართ სიძულვილის ენის რეგულირების შესახებ;
- აუცილებელია იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების ეთიკის წესებს დაემატოს ტრანს/ბი/ჰომოფობიის აკრძალვის ცხადი ეთიკური წესი;
- ყველა საჯარო და კერძო დაწესებულებაში განსაკუთრებით კი, სასამართლო აპარატებში, იურიდიული დახმარების ტერიტორიულ სამსახურებსა და ადვოკატთა ასოციაციაში დაინერგოს ბულინგის და შევიწროებისგან LGBTQI+ ადამიანების დაცვის პოლიტიკა, რომელიც აღიარებული და პრიორიტეტულად დაცული იქნება ხელმძღვანელი პირების მხრიდან;

- აუცილებელია მედია ორგანიზაციების ინფორმირება და მათი მხარდაჭერა დამაზიანებელი და მავნე წარმოდგენების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი და აქტიურობა;
- მოხდეს პოლიტიკური თანამდებობის პირების რიტორიკის ცვლილება. გადამწყვეტია ჰუმანური და მხარდამჭერი კულტურის გაჩენა საჯარო სივრცეებში, რათა ხელი შეუწყოს ჰომო/ბი/ტრანს ფობიების შემცირებას;
- სახელმწიფომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში შექმნას ოჯახების მხარდაჭერის პროგრამები, სადაც პროფესიონალები დაეხმარებიან ოჯახის წევრებს გაანალიზონ და უმტკივნეულოდ მიიღონ ოჯახის წევრის იდენტობის შესახებ ინფორმაცია, პროფესიონალები მხარს დაუჭერენ და გააძლიერებენ როგორც თავად პირს, ვინც ქამინგაუთი გააკეთა, ასევე მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.[22]
- არსებობდეს LGBTQI+ ადამიანებისთვის გასაჩივრების ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი მექანიზმი, სადაც გარანტირებული იქნება პროფესიონალების გუნდი, ყველა საჭირო დამხმარე მომსახურება და ადამიანების ღირსების პატივისცემა;
- შეიქმნას ჰომო/ბი/ტრანსფობიის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის და ძალადობრივ ჯგუფებთან გამკლავების სტრატეგიები;
- შეიცვალოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციები გენდერის სამართლებრივი აღიარების სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სისტემის შესაქმნელად. ამისათვის იუსტიციის სამინისტროში აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, სათემო ორგანიზაციების მონაწილეობით;
- სამართალდამცავ ორგანოებში არსებობდეს სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლი პირებისთვის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მომსახურებები;
- განათლების სისტემაში და ყველა მომსახურების ადგილებში, სადაც ბავშვები და ახალგაზრდები იმყოფებიან, უნდა არსებობდეს თანასწორობის კულტურა და მკაცრად კონტროლდებოდეს იდენტობის თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ბულინგის ან ძალადობის და შევიწროების შესაძლო შემთხვევები. ამ მიზნით აუცილებელია განათლების სისტემის ცხად პრიორიტეტს წარმოადგენდეს სკოლის მასწავლებლების გადამზადება ინკლუზიური და თანასწორი გარემოს შექმნის მიზნით სკოლებში.
- იურიდიული პროფესიებისთვის, განსაკუთრებით ადვოკატთათვის, სწავლების და გადამზადების კურსებს დაემატოს სავალდებულო მოდული ლგბტქ+ პირთა უფლებების და ჰომო/ბი/ტრანს ფობიების შესახებ.

[22] ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბრძანება რპოგრამების შემქნის შესახებ, 2022 წ. https://www.whitehouse.gov/briefing-room/presidential-actions/2022/06/15/executive-order-on-advancing-equality-for-lesbian-gay-bisexual-transgender-queer-and-intersex-individuals/